ხუთშაბათი,
7 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

ხუთშაბათი,
7 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

№ 2632
ყოველ-დღიური გამოცემა
1896-1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 373.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნების. ტელეფონი № 679. (0—171)

ხაზინის თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ხუთშაბათს, 7 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ფაუსტი“ ოპერა 5 მოქ., მუს. გუნოსი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტომკევიჩი, ბუნაკოვა და ხარიტონოვა; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, ობრაზცოვი, დემიანენკო, ზელინსკი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
8 ოქტ. „კარმენი“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. მუღნი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. ზედმანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. ზილერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მოდინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირას. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბ. შ. ხოზოლმესხი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—2 საათამდე.
საღამოთი:
ბ. შ. ხოზოლმესხი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში დაწვენილებისათვის მორიგებით. კრავატები დღეში დღის სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible]. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (თვ.) ტელეფონი № 274.

ექიმი
ქ. ნ. თოთრაძე
მი[illegible]ღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუდებნ[illegible]აია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—9)

მკურნალი
მი[illegible]ხეილ გედევანიშვილი
[illegible] მყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით. № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთა[illegible]ისში, ექიმი
მიხეილ ი[illegible]ვანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავ[illegible]შვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელი[illegible]შვილის სახლი. (30—6—19)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდ[illegible]ელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბ[illegible]ილის ავადმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, [illegible] მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—28)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვი[illegible]ლი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღა[illegible] საათამდე. (თვ.—5—18)

კბილის ექიმი
ალ. ხოლოდაშვილი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის სახლში № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7, კვირაობით 9—12 საათამდე. (30—6.—30)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

სარტისტო საზოგადოების შენობაში პირველ-ხარისხოვანი რესტორანი
„ანონნა“
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი. ყოველ დღე დაუკრავს ცნობილი
რუმინელთა ორკესტრი
დილით 2-დან 5-მდე, საღამოთი 9-დან 2 ს.-მდე. სასტუმროს პატრონი ი. ტ. ბოლდარენკო. (4—339—3).

ოქტომბრიდან ხელ-ახლად გამოვა
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
იმავე პროგრამით და იმავე რედაქტორობით. წლიური გამოცემის ფასი 4 მან. ქალაქ გარედ 5 მან.

პანსიონი
ელისაბედის ქუჩა. № 71 ისარლოვისეული სახლი
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—69)

ბათომში კბილის ექიმნი:
მიხაილ მალაქიას-ძე მენაღარიშვილი და მინა ნიკოლოზის ასული მენაღარიშვილისა
გადავიდნენ:
შეპელევის ქუჩაზე, სამოქალაქო სასწავლებლის პირდაპირ ლაზარევის კუთხის სახლებში ნურიაში.
გახსნილი არის ორი განკერძოებული კბილის საექიმო კაბინეთი.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9 საათ. 2 საათამდის და საღამოს 4 ს-დან 8 ს-დის. კვირა დღეობით კი 9 საათ. 12 საათ., საღამოობით 5 საათ. 8 საათამდის.
შეგირდებსა, მუშებსა, მოსამსახურეებსა და აგრეთვე ყველა მსურველთ შეღავათიანის სასყიდელით: 50% დაკლებით ჩვეულებრივ ფასებზე. (0—3819—3)

სანერგე დამყნილი ამერიკული ვაზისა დაიბეჭდა ახალი პრეისკურანტები სანერგისა და მსურველს შეუძლიან გაიწეროს. ადრესი: Квирилы, Георгію Чивадзе. (10—3822—4)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე
ნ. ზ. ელიავა
გადავიდა:
ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 35. (3—6—1)

დ. ყვირილაში
14 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე, თეატრის დარბაზში დანიშნულია ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც უნდა აირჩეს ექვსი რჩევის წევრი: სამი გამგეობისა, სამი სარევიზიო კომისიისა და მათი ნაცვლები. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა. (3—5.—1)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების
„კახეთი“-ს
გამგეობას პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1904 წ. 20 ოქტომბერს დანიშნულია მეორე საგანგებო საზოგადო კრება წევრთა თელავში, დილის 10 საათზე.
ეს კრება, როგორც მეორე, თანხმად წესდებისა, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას.
კრებამ უნდა განიხილოს: ახალ განყოფილების გახსნა, წესდების §§ 4 და 5 განმარტება, ორი სარევიზიო წევრის არჩევანი. (3—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
5 ოქტომბერი

ლონდონი, 4 ოქტომბერი („რეიტერი“). ოკუს მთავარ-სადგომიდან 2 ოქტომბერს იტყობინებიან, რომ რუსებმა ღამე რკინის გზის გაყოლებით აღმოსავლეთისაკენ დაიხიეს; არ დაუხევია მხოლოდ მარჯვენა ფრთეს. იაპონელები წავიდნენ წინ, მაგრამ რუსების განდევნა ვერ მოახერხეს. იაპონელები სცდილობდნენ გაერღვიათ რუსის ჯარი რკინის გზის გასწვრივ, რათა დაეშალათ რუსებისათვის უკან დახევა. იაპონელები არ ელოდნენ რუსების მხრივ მედგარ წინააღმდეგობას. შუაღამისას რუსებმა იერიში მიიტანეს იაპონელებზე, მაგრამ 4 საათის გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა მოიგერიეს. ორივე ჯარმა ღამე ერთმანეთის ახლოს გაათია. გათენებისას რუსებმა ხელახლად მიიტანეს იერიში, მაგრამ მოგერიებულ იქმნენ. დილით იაპონელებმა მოახერხეს ნელა წინ წასვლა. რუსებმა უკან დაიხიეს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელთ სოფელ ლამუტუსთან, რკინის გზის აღმოსავლეთით, მუკდენის სამხრეთით, 14 მილის მანძილზე. იაპონელებმა ღამე დაიჭირეს ლამუტუს მარცხენა მხარეს მდებარე სოფელი, დილით-კი მეორე სოფელი, რომელიც ლამუტუს მარჯვენით მდებარეობს. სამივე სოფელი დიდი და ღრმა მდინარის ნაპირას მდებარეობს. ამ ადგილას მოხდა 48 საათის განმავლობაში მეტად გამწვავებული საარტილერიო ბრძოლა.

ხარბინი, 5 ოქტომბერი. ღამის ბრძოლაში ჩვენ ავიღეთ 11 ზარბაზანი და ერთი ტყვიის მტყორცნელი და წამოვიყვანეთ ტყვეები. 3 ოქტომბერს მთელ დღეს ბრძოლა იყო რკინის გზის ორსავე მხარეს, მანდარინის გზის მიდამოებში. ზოგიერთ ადგილებში ჩვენმა ჯარმა აქა-იქ გაიმარჯვა. საერთოდ-კი საქმის ვითარება ნაკლებად შეიცვალა. მიღებულ ცნობებით, 3 ოქტომბერს ღამე იაპონელებმა იერიში მოიტანეს ორ ჩვენ პოლკზე. ეს პოლკები იდგნენ შახეს სადგურის აღმოსავლეთით, რვა ვერსის მანძილზე. პოლკებმა უკან დაიხიეს. დილით მოვიდა ჩვენი მაშველი ჯარი და, მეტად ცხარე ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ, იაპონელები უკუ-აგდო და სდია.

ტოკიო, 5 ოქტომბერი („რეიტერი“). კვირას რუსები შემოერტყნენ გენერალ იამადას რაზმს და ხელთ ჩაიგდეს 14 ზარბაზანი. რუსის ჯარი გროვდება ოკუსა და ნოძუს არმიების ფრონტზე. მოელიან, რომ ახალი დიდი ბრძოლა მოხდება. რუსები მედგრად დაეცნენ ოკუს პოზიციებს და წარსულ ღამეს იერიში მიიტანეს ნოძუსა და კუროკიზე, მაგრამ იაპონელებმა ყველგან უკუ-აგდეს რუსები.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
5 ოქტომბერი

ხუანშანი. იაპონელებს ისე მედგრად მხნედ მოაქვთ იერიში, რომ ხშირად პოზიციებზე საომარი მასალა აკლდებათ, რადგან ახალ მასალის მიტანამდე ძველი სულ ერთიან იხარჯება. მეოთხე მსროლელთა პოლკის მეათე როტამ 1 ოქტომბერს მოიგერია სამი იერიში იაპონელებისა. მტერმა მეოთხედ მიიტანა იერიში და 15 ნაბიჯის მანძილზე მიუახლოვდა რუსის თხრილებს. რუსის ჯარს საომარი მასალა შემოაკლდა და ქვებით დახვდა მტერს. მაგრამ მალე მოიტანეს პატრონები და საქმე გამობრუნდა. იაპონელები გაიქცნენ და ფერდობები თავიანთ მოკლულებითა და დაჭრილებით მოჰფინეს.—ეს დეპეშა მუკდენიდან არის გამოგზავნილი. ამის შემდეგ მომხდარი ამბები გადმოცემულია უფრო ადრე, დილის დეპეშით.

ბერლინი, 5 ოქტომბერი. „ლოკალ ანცაიგერ“-ს მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ 4 ოქტომბერს: 2 ოქტომბერს საღამოთი და სამ ოქტომბერს ბრძოლა მთელ ფრონტზე იყო. რუსის ჯარმა ყველა პოზიცია შეინარჩუნა. ზოგგან განდევნა კიდეც მტერი და წინ წაიწია. 3 ოქტომბერს საღამოთი პეტროვსკისა, ნიშლოტისა და ვილმანსტრანდის პოლკებმა განდევნეს მტერი გამაგრებულ პოზიციებიდან ხუანშანის სამხრეთ-დასავლეთით და ხელთ ჩაიგდეს 8 ზარბაზანი. 4 ოქტომბერს ღამე, 12-სა და 1 საათს შუა, იაპონელებმა სამჯერ მიიტანეს იერიში რუსის პოზიციებზე მდინარე შახესთან. ამასთან ასტეხეს საშინელი სროლა, რომელმაც 3 საათსა და 41 წუთს გასტანა. იაპონელებმა დიდის ზარალით უკან დაიხიეს. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რუსის ბატარეამ. დღეს, 4 ოქტომბერს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე, ხელახლა დაიწყო ბრძოლა მდინარე შახეზე. რუსის ერთმა კორპუსმა, მთავარ სადგომის მარცხნივ, აიღო შტურმით ფინძიანტუნის სიმაღლეები. ეს სიმაღლეები ზევიდან დაჰყურებენ გაშლილ ვაკეს. წინ და მარჯვნივ რუსების საქმე ჯერ კარგად მიდის. ჯერ-ჯერობით ძნელია იმის გამოცნობა, რით გათავდება ბრძოლა, რადგან დიდი გამარჯვება არც ერთ მხარეს არ ეტყობა, მაგრამ ისკი ეხლავე აშკარაა, რომ სტრატეგიის მხრივ იაპონელების საქმე ვერ არის კარგად. თუ რუსებს ბედმა არ უმტყუნათ, შესძლებენ ისარგებლონ თავიანთ კარგ მდგომარეობით. ადვილად შესაძლებელია, მარშალი ოიამა განსაცდელში ჩავარდეს. თუ ასე მოხდა, ბრძოლა მალე გათავდება.

ლონდონი. ომის უკანასკნელ ამბების გამო „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს: არავის არა აქვს ეჭვი, რომ რუსეთს ახალ დიდ არმიის ჩაყვანა შეუძლიან, მაგრამ არც თუ იაპონიას გამოელევა ჯარი. იაპონიას შეუძლიან მანჯურიის რომელსამე ნაწილში გამაგრდეს და მოიცადოს, სანამ თვითონ რუსები მიიტანენ იერიშს. თუ რუსეთს ასეთი განზრახვა აქვს, იაპონიას მეტი ჩარა არა აქვს, უნდა იომოს. იაპონია ყველაფრისათვის მზადაა. მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იაპონია შემდეგ პირობას დასთანხმდეს: მანჯურია ჩინეთს დაუბრუნდეს და რუსეთს იქ მხოლოდ თავის კანონიერ სამრეწველო ინტერესების დაცვის უფლება მიეცეს.

ლონდონი, 5 ოქტომბერი. იაპონიის საელჩომ მარშალ ოიამას ოფიციალური მოხსენება გამოაცხადა: მარშალი ოიამა იუწყება: 4 ოქტომბერს ღამით რუსებმა მედგარი იერიში მოიტანეს მარცხენა არმიის (გენ. ოკუს არმიის) მარჯვენა რაზმზე; რამდენიმე იერიში შუა (გენ. ნოძუს) და მარჯვენა (გენ. კუროკის) არმიებზეც მიიტანეს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ყველა იერიში მოიგერიაო.

ტოკიო, 3 ოქტომბერი. რუსები 4 ოქტომბერს ღამე იერიშით წამოვიდნენ პიანტაიძისაკენ, მაგრამ იაპონელებმა უკუ-აგდეს. გენ. იამადას ბრიგადა (ორი პოლკი) შახეპუს ჩრდილოეთით მომხდარ ბრძოლის შემდეგ ისევ თავის წინანდელ პოზიციებზე მიდიოდა, ღამით რუსის ერთმა დივიზიამ (4 პოლკმა) წრე შემოავლო ამ ბრიგადას. გენ. იამადა იძულებული იყო 6 საველე და 5 სამთო ზარბაზანი დაეტოვებინა ბრძოლის ველზე. გენ. ოკუს პირდაპირ რუსებს წინანდელი პოზიციები უჭირავთ. ოკუს არმიას კვირა დღეს (3 ოქტომბერს) 1000 კაცამდე დააკლდა მოკლული და დაჭრილი.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება პეტერბურგიდან: გენ. გრიპენბერგი მანჯურიაში 20 ოქტომბერს მიდისო. მეორე არმიის უფროსი ძლიერ ჰშურობს, რადგან იმისი შვილი, არტილერიის შტაბს-კაპიტანი, ლიაოიანთან ბრძოლის დროს დასჭრეს და ეხლა მძიმედაა თურმე ავად. („ნ. დ.“).

რუსის საადმირალოს აფიცერს უთქვამს „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტისათვის: დიდ ოკეანის მეორე ესკადრა ეხლა მხოლოდ ზღვაში გასავლელად წავიდა, ათის დღის შემდეგ ისევ კრონშტადტში დაბრუნდება, კარგად მოემზადება და მერე შორეულ-აღმოსავლეთს წავაო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ირწმუნება, დიდ ოკეანის მეორე ესკადრა გაზაფხულამდე არ წავა შორეულ-აღმოსავლეთსაო. რუსებს ეშინიათ, ვაი თუ ესკადრას გზაში ქვა-ნახშირის შოვნა გაუჭირდესო.

მანჯურიაში რუსის ჯარში ამ ჟამად 35 ათასი ურია მსახურობს. („რ. ვ.“).

ბ-ნი გარინი სწერს „ნოვოსტ დნია“-ში: როცა ლიაოიანიდან მუკდენისაკენ დავიხიეთ, გზაში ასეთი ლაპარაკი ჩამოვარდა:

— ეხლა რაღას გავარიგებთ?

— ეგ იაპონელებმა იციან...

— თურმე, გენ. კუროკის, როცა ტაიძიხეს გაღმა გამოვიდა, სულ ხუთად-ხუთი დივიზია ჯარი ჰყოლია.

— ჩვენ, რუსებს?

— ოთხ-ნახევარი კორპუსი (დაახლოვებით ცხრა დივიზია). მაგოდენა ჯარით უსათუოდ უნდა გვეგმარჯვნა.

— მაშ, რა მოხდა?

— რა ვიცი... ბედი... ორლოვი... ლიუბავინი... მეჩვიდმეტე კორპუსი... სათადარიგო სალდათები („ზაპასნოი“)... ყუმბარები.. („ნ. დ.“).

ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს: ანსანძიანს ახლო ერთ სოფლისაკენ გვინდოდა წასვლა. ერთს ყაზახსა ვკითხეთ: ბიჭო იმ სოფელში ვინ დგანან ეხლა? „იაპონელები“.—ბევრნი არიან? „მრავლისაგან უმრავლესი“.—მაშ არა გვიშავს-რა, წავიდეთ. რაკი ყაზახი „მრავლისაგან მრავალს“ ამბობს, იქ ერთი იაპონელიც არ იქმნება, მოელანდებოდა თუ,—ვიფიქრეთ ჩვენ და სოფლისაკენ გავსწიეთ. („რ. ს.“).

ბრძოლა იანტაისთან. მეტად ცოტა ცნობა მოდის ახალ ბრძოლაზე. ნამდვილად მხოლოდ ის ვიცით, რომ ახალმა ბრძოლამ ლიაოიანის ბრძოლას ბევრად გადააჭარბა: ჯარიც მეტი იღებს მონაწილეობას, ზარბაზანიც მეტი ჰქუხს და უფრო დიდი სისხლის ღვრაც ხდება. ეს ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. სწერს: „26 სექტემბერს იანტაისთან დაწყებული შეტაკება მეტად დიდ ბრძოლად გადაიქცა. 28 და 29 სექტემბერს ბრძოლაში უმთავრესი ჯარიც ჩაერია. მართალია 24 სექტემბერს გენ. კუროპატკინი თითონ პირველი გაემართა სამხრეთისაკენ, მაგრამ 27 სექტემბერს მარშალმა ოიამამ დაასწრო, აღარ დააცალა და თითონ მიიტანა იერიში რუსის არმიაზე. 28 სექტემბერს გენ. კუროპატკინი თავის მარჯვენა ფრთესა და ცენტრში (სადაც შუა ჯარი დგას) მხოლოდ მტრის იერიშის მოგერიებას სჯერდებოდა და პოზიციებს იცავდა, 28 და 29 სექტემბერს რუსები მხოლოდ გენ. კუროკის არმიაზე განაგრძობდნენ იერიშის მიტანას. მარშალმა ოიამამ ოთხ დღეში მთელი თავისი ჯარი იქ მოაქცია, სადაც საჭირო იყო. 24 სექტემბრამდე იაპონელების ჯარი ჩანტანიდან (მდინარე ხუნხეზეა) მოკიდებული ვიდრე ვანფულინის უღელტეხილამდე (დალინის მთაზე), 70 ვერსის სიგრძეზე იდგა. განაპირა რაზმები უფრო შორსაც იდგნენ: მდინარე ხუნხეს მარჯვენა მხარეს და დალინის უღელტეხილთან. მარშალმა ოიამამ მალე გაიგო რუსების განზრახვა და თავისი ჯარი ხელად შეკრიბა რკინის გზის პირადა და იანტაისთან. გენ. კუროკიმ უმთავრეს ჯარით ნელ-ნელა უკან დაიხია და იანტაისთან ნოძუს არმიის გვერდზე დადგა. რუსებს იაპონელების ცენტრის (შუა ჯარის) წინააღმდეგ რომ ისეთივე ძლიერი რაზმი გაეგზავნათ, როგორც გენ. კუროკის წინააღმდეგ გაგზავნეს, იაპონიის არმიას შუაზე გაარღვევდნენ და გენ. ნოძუსა და გენ. კუროკის არმიებს ერთმანეთს მოაშორებდნენ... 27—29 სექტემბერს საქმე ამნაირად მიდიოდა: გენ. კუროპატკინი იაპონელების მარჯვენა ფრთეს (გენ. კუროკის არმიას) უვლიდა გვერდიდან, მარშალი ოიამა გენ. კუროპატკინის მარჯვენა ფრთეს (გენ. ბილდერლინგისა და სლუჩევსკის კორპუსებს) უვლიდა გვერდიდან... სამწუხაროდ, ამ ბრძოლის თაობაზე მეტად ცოტა ცნობა მოდის. მხოლოდ ის ვიცით, რომ რუსის მარჯვენა ფრთე დამარცხებულა... გენ. ოკუმ 27 სექტემბერს სამ რაზმად გაჰყო თავისი არმია და რუსების პოზიციებისაკენ გაემართა. 27 სექტემბერს საღამოს ოკუს არმიამ სადგურ იანტაიდან ჩრდილოეთით 5 ვერსის მანძილი გაიარა და შანიაპოუსა და ტალასანპუსთან დადგა, მეორე დღეს ოკუს არმიამ მდინარე შილიხეს სამხრეთი ნაპირი დაიჭირა, რუსები ტალასანპუსა და იანდიავინის პოზიციებიდან განდევნა და 4 ვერსი წინ წაიწია. 29 სექტემბერს ოკუ მდ. შილიხეში გავიდა და რუსის პოზიციებზე მდ. შახეს ტოტზე იერიში მიიტანა. გამწვავებული ბრძოლა გაიმართა; რუსის რაზმმა რამდენჯერმე მოიგერია მტრის იერიში, ახალი ჯარიც, ესე იგი გენ. ბილდერლინგისა და სლუჩევსკის უმთავრესი ჯარი მოიშველია, დაღამებამდე გამაგრდა პოზიციებზე, მერე უკან დაიხია და მდ. შახეზე შედგა. ამავე დღეს იაპონელებმა რუსებს მარჯვენა ფრთეზე მნიშვნელოვანი პოზიცია წაართვეს სოფ. ლანგუშინთან. ეს პოზიცია, ეტყობა, მდ. შახესა და რკინის გზის შუა მდება-

ეროვნული

რეობს. ამ პოზიციაზე ორი პოლკი ქვეითა ჯარი ედგათ რუსებს და ძლიერი არტილერია; სულ მცირედ 4 ბატარეია მაინც (32 ზარბაზანი) იქნებოდა; ალბად, რუსის მარჯვენა ფრთის არტილერია მომეტებულ ნაწილად აქ იდგა, რადგან არტილერიას მუდამ შუა პოზიციაზე აყენებენ. ამ პოზიციას გენ. ოკუს არმიის შუა რაზმი დაეცა; იაპონელებმა ჯერ ზარბაზანი დაუშინეს; რუსის პოლკებს დიდი ზარალი მოუვიდათ, ბრიგადის უფროსი დაუჭრეს, ერთის პოლკის უფროსი მოუკლეს. რუსებმა არტილერია მიატოვეს და უკან დაიხიეს. შემდეგ პოლკოვნიკმა ვანოვსკიმ ხელ-ახლად მიიტანა იერიში და ზოგი ზარბაზანი უკან დაიბრუნა, 16 ზარბაზნის გარდა, მაგრამ გენ. ოკუმ იმავ ღამეს მედგარი იერიში მიიტანა პოლკოვნიკ ვანოვსკის რაზმზე, უკან დააიხევინა და არტილერია სულ დაატოვებინა. ამ დამარცხების შემდეგ რუსის მარჯვენა ფრთის ჯარი მდ. შახეს გაღმა უკანა პოზიციებზე დააყენეს; ოკუს არმია წინ წამოვიდა და მდ. ხუნხეს 20 ვერსტის მანძილზე მიუახლოვდა. („რ. ვ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი იუწყება დეპეშით: 29 სექტემბერს დილიდანვე ბრძოლა დაიწყო რუსის მარჯვენა ფრთეზე. იქ წინ მე-17 კორპუსი (გენ. ბილდერლინგისა) იდგა, უკან ხუთის ვერსის სიშორეზე რეზერვში მე-9 კორპუსი. იაპონელები პირველად ორთავე ინგერმანლანდის პოლკს (მე-3 დივიზიის პირველი ბრიგადა) დაეცნენ. ამ პოლკებს წინა დღისითაც დიდი ზარალი მოუვიდათ. იაპონელებმა საშინლად დაუშინეს ზარბაზანი ამ პოლკებს და ბევრი აფიცერი მოუკლეს და დაუჭრეს. უაფიცრებოდ სალდათებმა უკან დაიხიეს. ამავე დროს გამოირკვა, რომ ციმბირის მე-4 კორპუსს 28 სექტემბერს დიდი ზარალი მოჰსვლოდა და უკან დაეხია. მარქაფა ბრიგადა (ორი პოლკი) დაიბარეს, მაგრამ ბრიგადამ დაიგვიანა; ახლოს მდგომმა კორპუსმაც ვერ გაუწია დახმარება და მე-17 კორპუსმა უკან დაიხია. სადგურ შახეზე დიდძალი დაჭრილი მოჰყავდათ. გზაზე სულ საკაცეები იყო გამწკრივებული; ვისაც შეეძლო, თითონ მოდიოდა რკინის გზის პირად; შახედან მატარებლებს ჰგზავნიდნენ დაჭრილების წამოსაყვანად. ბოლოს სადგური სულ დაჭრილებით გაივსო; ზოგი რელსებს შუა იწვა, ზოგი ვაგონის კიბეებზე იჯდა; ბნელაში კვნესა ისმოდა. რუსის ჯარი რომ უკან იხევდა, იაპონელები ფეხ-და-ფეხ დაედევნენ და ყუმბარა დაუშინეს. რუსები მდინარე შახეზე შედგნენ. ღამის 11 საათზე სადგური შახე იაპონელებმა დაიჭირეს. როცა უკან იხევდნენ, შახეს ახლოს სოფ. ციუანჩაიში რუსებმა თავის ძირები დასწვეს. ღამით იაპონელები განაპირა მარჯვენა ფრთასაც დაეცნენ და დიდის ზარალით უკან დაახევინეს. მეტადრე ბევრი ცხენი მოუკლეს. აი ასე დასრულდა ორის დღის ბრძოლა შახესთან. („რ. ს.“).

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება სუეტუნიდან (მუკდენს ქვემოდაა, სამხრეთით): 28 და 29 სექტემბერს დიდი ბრძოლა იყო. რუსის ჯარი მეტად ყოჩაღად იბრძოდა ყველგან, დიდი ზარალი მოსდიოდა, მაგრამ სალდათები პოზიციებზე სწყდებოდნენ და უკან-კი არ იხევდნენ. არმიის უფროსი (გენ. კუროპატკინი) ამაღლით ერთის გორიდან თვალყურს ადევნებდა ბრძოლას. ყოველ წამს აფიცრები მოდიოდნენ და მოხსენება მოჰქონდათ. აღმოსავლეთის რაზმმა გენ. კუროკის პოზიციებამდე მიაღწია. ზოგს პოლკს დიდი ზარალი მოჰსვლია. („ნ. დ.“).

ამ გალაშქრების დროს რუსებმა ზოგგან იაპონელების პოზიციები აიღეს. ნემიროვიჩ-დანჩენკო 30 სექტემბერს სწერს:

იაპონელების პოზიციების აღება ძვირად დაუჯდა რუსის ჯარს,—ეკლიანი მავთული სამ რიგად ჰქონდათ შემოვლებული ამ პოზიციებს, ტომსკის პოლკს მეტად დიდი ზარალი მოუვიდა, ცოტა-ღა გადარჩა. ეხლა თითონ იაპონელები მოდიან ჩვენზე იერიშით. რუსები მხოლოდ იგერიებენ და წინად დაჭერილ პოზიციებს იცავენ. („რ. ს.“).

ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს: რუსის დასავლეთის რაზმს 29 სექტემბერს 72 ზარბაზანი ჰქონდა... დასავლეთის რაზმი რუსის არმიის მარჯვენა ფრთეზე იდგა და 29 სექტემბერს ბრძოლის შემდეგ უკან დაიხია.

„ჰავასის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება: როცა გენ. კუროპატკინმა წინ გაილაშქრა, გზა და გზა ყველგან სანგრები გაამართვინა სიფრთხილის გულისათვის. გენ. კუროპატკინს ბოლოს დროს დიდი ჯარი მოემატაო. („ნ. დ.“).

ინგლისურ პრესის აზრი გენ. კუროპატკინის გალაშქრებაზე. გენ. კუროპატკინის ბძანებამ მთელის ქვეყნიერობის პრესა აალაპარაკა, მეტადრე ინგლისური. სამხედრო მიმომხილველებმა დიდის ყურადღებით გაარჩიეს ეს ბრძანება. ყველანი თითქმის ერთხმად ამბობენ: რაკი გენ. კუროპატკინი თითონ აპირობს იაპონელებზე იერიშის მიტანას, იაპონელებიც არ მოერიდებიან, პირიქით სიხარულით დაუხვდებიან და მანჯურიაში დიდი ბრძოლა და დიდი სისხლის ღვრა მოხდებაო.

„სტანდარდ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: მალე დიდი ბრძოლა მოხდება მანჯურიაში; რითაც უნდა გათავდეს ეს ბრძოლა, გენ. კუროპატკინი მაინც მალე ვერ მივა პორტ-არტურთან.

„დეილი ტელეგრაფ“-ის მიმომხილველი ამბობს: გენ. კუროპატკინის ბძანებიდან სჩანს, რომ მანჯურიაში მალე დიდი ბრძოლა უნდა მოხდეს. რით გათავდება ეს ბრძოლა,—წინადვე ძნელი გამოსაცნობია, ის-კი ვიცით, რომ ეს ბრძოლა საშინელი, უმაგალითო ბრძოლა იქნება.

„ტაიმს“-ი და „მორნინგ პოსტ“-ი სწერენ: იქნება რუსის არმიის გალაშქება სასარგებლოც იყოს იაპონელებისათვისაო. „მორნინგ პოსტ“-ის სამხედრო მიმომხილველმა სპენსერ ვოლკინსონმა დაწვრილებით გაარჩია გენ. კუროპატკინის ბრძანება. ვოლკინსონი სწერს: რუსის არმია იერიშის მიტანას აპირობს იაპონელებზე. იაპონელ გენერლებს აქამდე სულ თითონ მიჰქონდათ იერიში რუსებზე, ამიტომ არ ვიცით, მტრის მოგერების უნარიც აქვთ თუ არა, მაგრამ იაპონელებს ახლაც ადვილად შეუძლიანთ მარტო მოგერებას არ დასჯერდნენ და თითონაც იერიში მიიტანონ რუსებზე. გენ. კუროპატკინის ბრძანებიდან სჩანს, რომ მალე დიდი გამწვავებული ბრძოლა მოხდება მანჯურიაში და ომის საქმე გადასწყდება. რასაკვირველია, იაპონელები და რუსებიც ამ ბრძოლის შემდეგაც განაგრძობენ ომს; ორსავე მხარეს ბევრის მაშველ ჯარის მოყვანა შეუძლიან, მაგრამ გინდ ომი დიდ ხანსაც გაებას, ეხლანდელ ბრძოლას მაინც მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება. ვინც ეხლანდელ ბრძოლაში გაიმარჯვებს, ბოლოსაც ის გაიმარჯვებს. თუ გენ. კუროპატკინის არმია მეორე არმიას (გენ. გრიპენბერგის არმიას) აღარ მოუცდის და ეხლავ ან დაამარცხებს, ან უკუაგდებს იაპონელებს, მაშინ საბოლოოთაც რუსეთი გაიმარჯვებს. თუ ვინიცობაა იაპონელები ახლაც დაამარცხებენ გენ. კუროპატკინს, მაშინ რუსეთს მეორე არმიაც ვეღარას უშველის. მაშინ აღარავინ დაიჯერებს, რომ მეორე არმიამ პირველ არმიაზე უკეთესად იმოქმედოს. ასეთის ბძანების შემდეგ გენ. კუროპატკინმა ბოლომდე უნდა იბრძოლოს, თორემ უკან დახევა იმის ჯარს მთლად გაუტეხს გულსა. („ნ.“).

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ავსტრ-უნგრეთი. მორავიის დედა-ქალაქს ბრიუნში ეხლა ხან დიდი დემონსტრაციები მოხდა. დემონსტრაციები გამართეს ჩეხელმა ნაციონალისტ სოციალ-დემოკრატებმა. ჯერ კრება დანიშნეს „ჩეხთა სახლში“. კრებას უნდა გადაეწყვიტა ორი საკითხი: ერთი შეეხებოდა საყოველთაო ხმის უფლების შემოღებას მორავიაში, მეორე—ჩეხების მოთხოვნილებას. ჩეხები ამბობენ, ბრიუნი ჩვენი ქალაქია და აქ ჩვენ უნდა ვბატონობდეთო. ამას ამბობენ არა მარტო ნაციონალისტები, ნაციონალისტ სოციალ-დემოკრატებიც. დანიშნულ დროს დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ურილობის გათავების შემდეგ ეს ამოდენა ზღვა ხალხი სეიმის შენობისა და ნამესტნიკის სასახლისაკენ გაემართა. პოლიცია ბევრსა სცდილობდა, მაგრამ ვერა გააწყო-რა. ბოლოს დაიბარეს ჯარი, რომელმაც ბრძოლის შემდეგ გაჰფანტა შეკრებილნი. ბევრი დაიჭრა კიდეც. ზოგ გერმანელთა დაწესებულებაში ჩეხებმა ფანჯრები გამოამტვრიეს. უწესოების მოსპობას ხელი შეუწყო წვიმამ, რომელმაც დაღამებისას კოკის პირულად დაუშო. („რ. ვ.“).

ჩინეთი. როგორც ვიცით, ჩინეთის წინსვლას უმთავრესად ბიუროკრატიზმი აფერხებს. არსად იმდენი მოხელე არ არის, რამდენიც ჩინეთშია. იმდენად დაჩაგრულია მოხელეთაგან ხალხი, რომ ბევრნი ჭეშმარიტად ამბობენ: ჩინეთში ხალხი მოხელეებისთვის არის გაჩენილი და არა მოხელეები ხალხისთვისაო. ამას წინად ჩინეთის იმპერატორს გამოუცია დიდად საყურადღებო ბრძანება მოხელეთა მიმართ. აი, შინაარსი ამ ბრძანებისა: „ჩვენი იმპერია დიდია მიწა წყლით და მდიდარი ნაწარმოებით. ჩვენი ხალხი ამზადებს ყველაფერს, რაც-კი ცხოვრებისთვის არის საჭირო. ამიტომ არავინ არ უნდა ავიწყებდეს ხალხის შრომასა და მეცადინეობას. სამწუხაროდ, ჩვენი წყალობა ძალიან ხშირად არ აღწევს ხოლმე ხალხამდე იმათ მეოხებით, ვინც ჩვენსა და ხალხს შუაა. ეს შუაში მდგომი თვითონ იგებს მუცელს და ჩვენ ცრუ ცნობებს გვაწვდის ხალხის მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. ეს წესი ისე გაძლიერდა და განმტკიცდა, რომ ჩვენ იმის აღმოფხვრას ვერც-კი ვახერხებთ. მოხელეთა სიცრუისა და ტყუილების გამო ხალხის კვნესა და წვალება ვერ აწევს ჩვენამდე. თვით ხალხიც დატანჯულ წამებულია იმათგან. ყველა, უკანასკნელ მოხელედან დაწყებული პირველამდე, იმას აძრობს ტყავს და ართმევს ფულს თავის საკეთილდღეოდ. ხალხი იტანჯება იმათგან ისე, როგორც სხეული იტანჯება ხოლმე სნეულობისაგან. როდესაც ამაზე ვფიქრობთ, არ ვიცით, რით ვუშველოთ საქმეს და როგორ დავეხმაროთ ხალხს“.

ახალი ამბავი

✦ ოფიციალურის ცნობებით, 2 და 3 ოქტომბერს **ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 11**, გარდაცვლილა 4 კაცი.

✦ როგორცა ვწერდით, **ტფილისში ჩამოხვლას აპირებს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი** ა. ს. ერმოლოვი. ბაღებისა და ტყეების გამშენებელ კომისიას დაუდგენია, პირადად სთხოვოს მინისტრს, რომ მუშტაიდის ბაღი, რომელიც დღეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელშია, ქალაქს გადაეცეს. ქალაქი, ეჭვი არ არის, უკეთ მოუვლის ამ ბაღს.

✦ ქალაქ ტფილისს, როგორც სავარაუდო აღრიცხვიდანა სჩანს, 1905 წელს შემოსავალი **ხარჯზე 233,000** მანეთით ნაკლები ექმნება. გამგეობამ საჭიროდ სცნო ზოგიერთ ხარჯის შემცირება. ამის გამო გამგეობამ დაადგინა: **სწავლა-განათლებისათვის** გადადებული თანხა შემცირებულ იქნას 35,000 მანეთით, ქალაქის მოსაწესრიგებლად გადადებული თანხა 54,000 მან. და წყლის მილის გასადიდებლად გადადებული თანხა 13,000 მანეთით.

✦ **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი** კ. მ. ლინდენი 10 ოქტომბერს სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგს მიდის. გუშინ, 5 ოქტომბერს, ბ-ნი ლინდენი ბაქოს წავიდა.

✦ მიწათ-მოქმედების მინისტრმა **მებამბეთა კრების** თავმჯდომარედ ერევანში 14-დან 17 ოქტომბრამდე დანიშნა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი თავ. მასალსკი. თავ. მასალსკი ტფილისში ჩამოვა 12 ოქტომბერს და აქედან ერევანს წავა.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ** დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის წინაშე, რომ სათავად-აზნაურო თანხიდან სამის წლით 4,000 მან. ასესხოს საზოგადოებას სხვა-და-სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, **ქართულ წარმოდგენების ამხანაგობამ**, თეატრის უქონლობისა გამო, ვერ დაიწყო სეზონი. ამ დღეებში საგუბერნიო მთავრობის ნებართვით სამმა არქიტექტორმა დაათვალიერა სათავად-აზნაურო თეატრის შენობა და, როგორც იყო, ამხანაგობას ნება დართეს წარმოდგენების გამართვისა. წარმოდგენები დაიწყება მომავალ კვირას.

✦ ქართულ **დრამატიულ საზოგადოების** გამგეობამ განიხილა მოხსენება ბათუმისა და ბაქოს ქართველებისა. ამას წინად ბათუმში მცხოვრებმა 60 კაცმა და აგრეთვე ბაქოელებმა სთხოვეს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, დაარსოს ამ ქალაქებში თვისი განყოფილებანი. მთხოვნელნი სწერენ, წარმოდგენების საქმეს ჩვენ მოვაწყობთ და ხარჯსაც ჩვენ ვკისრებთო. გამგეობა სიამოვნებით მიეგება ასეთს შუამდგომლობას (და დაადგინა, დანიშნოს საგანგებო კრება დრამატიულ საზოგადოებისა და გამოსთხოვ მას ნებართვა, რომ ბაქოსა და ბათუმ დაარსებულ იქნას აღმასრულებელი კომისიები.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძ გზის გასაყვანად **საბაღოსნო სკოლისა** და **საბრეშუმო სადგურს** შუა 10 საჟენი ადგილის დათმობის შესახებ. მიწათ მოქმ დების მინისტრის რწმუნებულმა აცნო გამგეობას, რომ შეიძლება 6 საჟენი მი დაეთმოს ქალაქს იმ პირობით, თუ ქალა საბაღოსნო სკოლის შენობებს არ დაანგრე და თუ დაანგრევს, სამაგიერო აუშენოს სხ ადგილს. ამას გარდა, როგორც საბაღოსნო სკოლის ეზოს, ისე საბრეშუმო სადგურ ქვის კედელი უნდა გაუკეთოს გზის პირად.

✦ გორის მაზრიდან გვატყობინებენ, რომ ამავე მაზრის მცხოვრებს ცნობილ მემამულე თავ. თომა ციციშვილისათვის ვიღაცას **თოფი უსროლია და მოუკლავს** თავისავე სახლში. როგორც გვქონდა აღნიშნული, თავ. ციციშვილმა ამ ერთის თვის წინად თავის მეუ ლეს თავი მოსჭრა ხანჯლით რაღაც გა ურკვეველ მიზეზისა გამო.

✦ როგორც ბათუმური გაზეთი გადმოგ ცემს, 2 ოქტომბერს ოზურგეთის მახლო ლად **სოფელ კვირიკეთში მოუკლავ** აზნაური ალექსანდრე ბებურიშვილი.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 5 ოქტომბერს განიხილა **შუამდგომლობა „ქრისტიანობის აღმადგენელ** საზოგადოებისა“ წმ. ალექსის სახელზე ეკკლესიის ასაგება ადგილის დათმობის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს და მიწის მზომელს გამონახონ თავისუფალი ადგილი პოლიციის მე-10, 9 და 8 ნაწილებში.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც გვატყობინებენ, დაუმტკიცებია ბათუმის **საქალაქო სამკურნალოს** წესდება.

✦ კავკასიის უმაღლესს მთავრობას შე საძლებლად უცვნია, რომ სოფელ ყარ იაზის **გადმოსახლებულ რუსთა** თვრამე **ოჯახს** სესხად მიეცეს 1500 მანეთი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია წესდება **ხონის სამარხ კასისა**.

✦ ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ოვეჩ-კომპანეიცი, როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, დაინიშნა **ტფილისის სამოსამართლო** პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

✦ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ჩვენი ქალაქის მეათე ნაწილში მცხოვრები კუკიის და დიდუბის ნახევარს და მთელ ნაძალადევს გვაქვს მხოლოდ ერთად-ერთი მართ მადიდებელთა სასაფლაო, რომელსაც ორი გ აქვს: ერთი გზა ქვეითა ქალაქის ნაწილის მცხ რებთათვის, მარჯვე სავლელი, ავჭალის ქუჩით შესახვევი მამა ანტონის ქუჩით, რომელიც უ მოკირწყლულია; მეორე გზა ავჭალისავე ქ დან უხვევს და გადის რკინის გზის ხიდ ქვ ამას უწოდებდნენ ნორიის ქუჩას და ეხლა უწ დებენ ანანევის ქუჩას. ამ ქუჩით სარგებლო ზევითა ქალაქის ნახევარი: კუკია, მთელი დუბე და მთელი ძველი და ახალი ნაძალად ეს მცხოვრებნი დიდის ხნიდან დიდ გაჭირვე არიან ამ გზის მოუკირწყლელობით. როგორც მ

ფელეტონი

საგანი გიორგი ერისთავის ლექსების და პიესებისა

მეტად საინტერესოა განხილვა ქართულ მწერლობისა მისი შინაარსის მხრით. საზოგადოებრივ განვითარების შესასწავლად ასეთს განხილვას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მხატვრულ დაფასებას რომელიმე ნაწარმოებისას. ერის მწერლობის შინაარსი ერის ცხოვრების სურათია, მიუხედავად იმისა, თუ როგორის ძალით დაგვიხატავს მწერლობა ამ ცხოვრებას. ყოველი სიტყვა, აღბეჭდილი ქაღალდზე, ხმა მუსიკისა, სახე მხატვრობისა აუცილებლივ გადმოგვცემს საზოგადოების სულიერ მდგომარეობას, გონებრივ განვითარებას, გრძნობების სიღრმეს, თვითშეგნებას, საზოგადოების დარდებს, ფიქრებს, მისწრაფებას. რა თვისების და ღირსებისაც უნდა იყოს მწერალი, მემუსიკე, მხატვარი, ძლიერის ნიჭის თუ სუსტის პატრონია იგი, მაინც მისი ხმა არის ხმა ამა თუ იმ საზოგადოების წრისა, და ამის გამო ეს ხმა არის კოლექტიური, საზოგადოებრივი ხმა.

ვის ამბავს მოგვითხრობს მწერალი, როგორს მწუხარებას და სიხარულს აგვიწერს, რას თანაუგრძნობს და რას გაურბის, რას დაეძებს ცხოვრებაში,—ყველაფერ ამაში გამოიხატება საზოგადოების ან საზოგადოების რომელიმე ნაწილის გრძნობები და ფიქრები. შეუძლებელია, რომ მხატვრის ნაწარმოებში არ აღიბეჭდოს მთელი საზოგადოების თუ მისი რომელიმე ნაწილის მდგომარეობა. თუ მწერლობა არ აგვიწერს მთელი ერის ცხოვრებას ეს არა პირდაპირ გვიჩვენებს ერის განუვითარებლობას, იმას თუ რა ხარისხამდე მიუწევია ეროვნულ ცხოვრებას. მწერლობა თუ სუსტად გვიხატავს საზოგადოებრივ მდგომარეობას, ეს სისუსტეც დამახასიათებელია საერთო ვითარებისა: რამდენად სუსტია და უძლური მწერლისა და მხატვრის შემოქმედებითი ნიჭი და გრძნობა, იმდენად სუსტად უგრძვნია და შეუგნია თავისი მდგომარეობა თვით საზოგადოებასაც. შეუძლებელია პოეტის წარმოდგენა საზოგადო მდგომარეობის გარეშე. თუ დაცემული ერი სუსტად გრძნობს თავის დაცემას, მისი პოეტიც ვერ იტირებს ღრმა მწარე ცრემლებით, მისი მხატვრის სურათიც ვერ დაიპყრობს და ვერ გაიტაცებს მაყურებელს.

ამ რიგად მწერლობის შინაარსს ორნაირი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების დასახასიათებლად: პირდაპირი და არა-პირდაპირი—რას აგვიწერს მწერალი და როგორ აგვიწერს. მართალია: ჩვენში ბევრი პოეტი შეხებია ნაციონალურ მოტივს, ბევრს აუწერია დაჩაგრული სამშობლოს ბედი, ბევრს გამოუთქვამს ერის სიყვარული, და მთელი ეს ნაციონალურ-პატრიოტული შინაარსის მწერლობა ერთად რომ შევაერთოთ, ვერ შეედრება ერთს ლექსს აკაკი წერეთლისას, რომელიც არის მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ყველაზე უფრო ნაციონალური პოეტი. მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრების ცვლილების შესასწავლად, საზოგადოებრივ ტიპების და ტიპიურ გრძნობების და ფიქრების ევოლიუციის შესაგნებლად მნიშვნელობა აქვს სულ უბრალო მწერლის ნაწერსაც. მაგალითად, ჩვენი ეროვნული თვითშეგნების დასახასიათებლად ძვირფასია ისეთი პატარა პოეტებიც, როგორიცაა ბ-ნნი რუხაძე და ბეგლარა, და ყოველ პოეტიურ ნიჭს მოკლებული ავტორების ლექსებიც, როგორიცაა ლექსები ვინმე ლ. ხონელისა, ი. ჭიჭინაძისა, ჩარხიშვილისა და სხ. მისთანათა.

ამ მხრივ, ე. ი. შინაარსის მხრით გვინდა გადავავლოთ თვალი გ. ერისთავის ლექსებს და პიესებს: ვის აგვიწერს ჩვენი ავტორი, ვინ არიან მისი გმირები, რაში გამოიხატება მისი მწუხარება და სიხარული, რითია კმაყოფილი, ან უკმაყოფილო, ვინ დაინახა და რამ მიიქცია მისი ყურადღება ცხოვრებაში.

ყველაზე უწინარეს მოვიგონოთ მოკლედ თვითონ მისი ცხოვრება. გ. ერისთავი იყო წარჩინებული თავადის შვილი და 10 წლამდის იზრდებოდა სოფელში მებატონის ოჯახში. ათის წლის რომ შეიქნა, მიაბარეს ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, სადაც დარჩა ხუთ წელიწადს. მერე მისმა ბიძამ მიტროპოლიტმა ვარლაამმა წაიყვანა მოსკოვში და იქ მიაბარა კერძო პანსიონში. მოსკოვში დარჩა სამ წელიწადს, ამის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და შევიდა სამსახურში. მონაწილეობა მიიღო შეთქმულებაში, რომელიც შესდგა რუსების საქართველოდან გასადევნელად, რისთვისაც მთავრობამ დაამპატიმრა 13 თვე და მერე ჯარში გაგზავნა პოლონეთში 4 წლით და 7 თვით. პოლონეთიან დაბრუნების შემდეგ ხელი მოჰკიდა ქართულ მწერლობას, 1849 წელს ვორონცოვის წინადადებით შეადგინა ქართული დასი და რამდენსამე წელიწადს უძღვებოდა ქართულ თეატრს. 1852—53 წლებში ბეჭდავდა ჟურნალ „ცისკარს“, რომელიც მანვე დააარსა. 1855 წელს მთლად დაანება ქალაქის ცხოვრებას თავი და გადასახლდა სოფელში, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდის. ესაა უმთავრესი მომენტები გ. ერისთავის ცხოვრებისა, რომელთა გათვალისწინება საჭიროა მისი ნაწერების გასაგებად. გიორგი არის მებატონის შვილი და შეძლებული თავადი, დროგამოშვებით ცხოვრობს ქალაქში, მონაწილეობას იღებს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არის წევრი მოწინავე საზოგადოებისა, რომელიც შესდგება განათლებულ თავადებისა და აზნაურებისაგან, და რომელმაც გამოფხიზლების შემდეგ იგრძნო ყველაზე უწინარეს თავისი ეროვნული დამოკიდებულება. ასეთი ცხოვრების ხასიათი ამჩნევია როგორც მის პიესებს, ისე მის ლექსებსაც.

გ. ერისთავს ქართველი საზოგადოება იცნობს უმთავრესად როგორც დრამატურგს, თუმცა მის ლექსებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ავტორის პიროვნების დასახასიათებლად. გიორგის ლექსები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნათარგმნ ლექსებს, სამგვარი თვისებისაა: ელეგიური, რომლებშიაც ისმის ავტორის წუხილი საზოგადოებრივ ვითარების გამო, სიყვარულისა გამოწვეული ლექსები და იუმორისტულ სატი დი ლექსები.

საზოგადოდ გ. ერისთავის ლექსები ყველ მსჭვალულია სევდით. მაშინაც კი, როდესაც იტ ნის, ქალერსება სილამაზეს, გული უმღერის სი ყვარულისაგან, მისი სიხარული არის ცრემლნებ ლი, მისი სიმღერის იქით იმალება სევდა და უკმაყოფილება. ან რა კმაყოფილების დრო იყო, როდესაც ირგვლივ ყველაფერი მიყუჩებული და სამარის სიჩუმით იყო მოცული. არამც თუ მ შინ, მერეც რამდენიმე წლის შემდეგ არ ისმოდ „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი! მშობელი შვი ბილს არას ეტყოდა“! ქვეყანა დაცემული, დამონებული; მწერლობა არ არსებობდა, თითო ორი და ლექსი თუ იწერებოდა, ხელნაწერად დადიოდა, არ იბეჭდებოდა, და ათი-ოცი კაცი თუ კ თხულობდა, მეტი არავინ. საზოგადოებრივი ცხოვრების ნასახი არსად სჩანდა.

ერთი ოცნება დაებადა შეგნებულ პირთა მცი რე ჯგუფს, ეს იყო შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენმა პოეტმაც. მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა... ოცნება გაჰქრა, იმე დი მოისპო და ბევრი მწარე ნაღველიც დალიეს ტებილის ოცნებით გატაცებულებმა.

ჭაბუკი იყო გიორგი, როდესაც გამოეცხადა მშვე ნიერი არსება, მოჩვენება ახალგაზდობისა და უმა წვილკაცობისა და გაიტაცა იგი, დაჰპირდა: „მ შენ აღგივსო ეგე გული მკაცრ ძლიერებით, ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეხსენებათ, მიცვალებულის მისვენება დიდად საჭიროა. ავლარში ზამთრობით მუხლამდის ტალახია, ოღრო-ჩოღრო და გაუვალი წუმპეები. ხლა, როგორც შევიტყეთ და გხედავთ, მალაკნების საზოგადოების თხოვნით და მალაკნებისავე ხმოსნების დახმარებით, რომელნიც სულ ცირენი არიან, ჩვენ ქალაქის საბჭოში უკვე ადაუწყვეტიათ ამ გზის მოკირწვლა მალაკნების სასაფლაოს ქვეით კუთხემდის, სახელდობრ— რომის კი ქუჩამდის. დანარჩენ გზას სტოვებენ მოუკირწყლავს. მიზეზი ამისა, როგორც ეტყობა, ის გახლავთ, რომ მალაკნების სასაფლაოს ქვეით, მისავალ კუთხეში, ლაუდგამთ შესასვლელი კარები ერთ მაღლობ უსწორ მასწორო ადგილას და არა 60 საჟენის ზევით, სადაც პიატიგორსკის ქუჩა გადმოდის გარდი-გარდმო ეს ქუჩა ჰყოფს მალაკნების სასაფლაოს და მართლმადიდებელთა სასაფლაოს. საჭიროა გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ ქუჩებსაც. საჭიროა აგრეთვე გამგეობამ იზრუნოს ანანიევისა და როსტოვის ქუჩების გარშემო მცხოვრებთა წყლისათვის, რადგან ძლიერ დაშორებულნი არიან წყლის ონკანს“.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამხედრო ბეგრის საკრებულოს მდივნად დაინიშნა მე-7-ე უბნის პოლიციის ბოქაულის თანაშემწე სპეგალსკი.

◆ ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოს წევრად ტფილისის საქალაქო პოლიციის ივ დაინიშნა მე-5-ე უბნის ბოქაულის თანაშემწე ბაბალოვი, ნაცვლად მარკაევსკისა, მე-6-ე უბნის ბოქაულის თანაშემწისა.

◆ 5 ოქტომბერს ვერიდან ღამის 11 საათზედ ვიღაც ბოროტ განმზრახველს კრწანისისაკენ გაუტყუებია მეეტლე № 387 არშაკ ბოზიანცი, რომლისთვისაც წაურთმევია ფულად 4 მან. 80 კაპ. და შემდეგ რევოლვერით დაუჭრია კისერში. ბოროტმოქმედს დაეძებენ.

◆ შაბათს, 9 ოქტომბერს მოხდება კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა თითო თუმნით დააჯარიმა შემდეგი სახლის პატრონნი სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის: პირველ უბანში: ხაჩატუროვი ორივსიმე, ეფროსინია ტროინოვისა, იოსებ გაბაშვილი, ასლან მდივანი, ნატალია ინთელისა, რომან ფორაქაშვილი, ალექსანდრე ოტოვი, ივანე ზორინი, მიხეილ ქუთათელაძე. მე-4-ე უბანში: თავ. პეტრე არგუთინსკი-დოლგორუკოვი, სერგეი მარგუნოვი, ივანე კლიტერი, ელენე არქიეპისკოპოვისა; მე-8-ე უბანში, მაკარ გოგუა, ალასკარ ფარვაროვი, ანდიან სამარკინი, ნიკოლოზ სულავა, საველი ტომილინი, ვაგრაპ ყარიმან-ოღლი, სარქის ქოჩოროვი; მე-9-ე უბანში: ილია ლაშქაროვი, გიორგი მამაცახლისოვი, ნატალია ფეფინოვი, ელენე სევეროვისა, ალექსანდრე ჯანგვენტელიანცი, გრიგოლ იარალოვი, გრიგოლ პოპოვი, ნინო ლიხოვსკაიასი, ნინო სულხანოვისა, იულია ბულაკოვსკისა, მარია საგატელოვისა და მიხეილ ქუთათელაძე.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ შუამდგომლობის წარდგენა, თავმჯდომარედ აირჩია ი. მ. ალიხანოვი.

◆ გალკინის ფირმის წარმომადგენელს თავ. გურამიშვილს წინადადება მისცა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ, დაიჩქაროს ხელშეკრულების დადება და შეკვეთილ 47 დიდ ფარნის დამზადება.

◆ წავკისის ქუჩის მცხოვრებლებმა შეატყობინეს გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ ეს ქუჩა ძალიან მინგრეულ-მონგრეულია. წყლისაგან ისეთი დიდი მია ქუჩაში, რომ ღამე შეუძლებელია დაუშავებლად გავლაო. მცხოვრებნი სთხოვენ გამგეობას, ფარანი მაინც დაგვიდგითო.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის წერთ დაურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 259.** შინაარსი: „მონები“, ჯერომ ჯერომისა. თარგმ. შალვა დადიანის მიერ, სხვა-და-სხვა ამბები; სურათები: ალექსანდრე მაკედონელი და მისი ცხენი,—სურათი შომერისა; „იმპერატორი პავლე მე III შლისელბურგის სატუსაღოში დამწყვდეულ დიდ მთავარ იოანე ანტონის ძესთან,—სურ. ბუროვისა; „მახვილით“, ქანდაკება გ. ფოტისა და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ თავად-აზნაურთა საგანგებო კრების დადგენილების თანახმად, გუბერნიის წინამძღოლის მოადგილემ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს თავ. სვიატოპოლკ-მირსკის: „ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ მოწიწებითა და განუსაზღვრელის სიხარულის გრძნობით მოისმინა დიადი ამბავი მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების შესახებ და ერთხმად დაადგინა: განუცხადოს მის იმპერატორებით უდიდებულესობას ერთგულ ქვეშევრდომობის გრძნობანი და აღძრას უქვეშევრდომილესი შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის ეწოდოს მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსის სახელი და დაარსებულ იქმნეს ამ პროგიმნაზიასთან მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობის ოთხი სტიპენდია, განსაკუთრებით იაპონელებთან ომში დახოცილ ქუთაისის გუბერნიის მეომართა შვილთათვის.“

◆ ქუთაისის ქალაქის საბჭომ მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოოზის ძის დაბადების გამო გამოუცხადა მის იმპერატორებითს უდიდებულესობას ერთგულ ქვეშევრდომობის გრძნობანი და დაადგინა, ეპატიოს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ დარჩენილი გადასახადი 1000 მანეთი; ამასთანავე დაარსოს მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობის ერთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ამ დეპეშის გამო მთავარ-მართებლის კანცელარია ბ-ნ გუბერნატორის საშუალებით ატყობინებს ქალაქის თავს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება მადლობა გამოეცხადოს ქალაქის საბჭოსო.

◆ კვირას, 10 ოქტომბერს, დილის 10 საათიდან სადღრიის აგარაკში დაიწყება ქალაქის სამოსახლო ადგილების იჯარით გაცემა. თითო სამოსახლოს ექნება სივრცით საზოგადოთ 200 ოთხკუთხი საჟენი. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, უნდა წარადგინოს ბეღ ერთი თუმანი. სამოსახლო ადგილების გეგმის ნახვა და საიჯარო პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობაში. ადგილების იჯარით აღების მსურველი ძლიერ ბევრია, ნამეტურ სოფლელები, რომელნიც სოფელში ყველაფერს ჰყიდიან, ოღონდ კი ერთი თავშესაფარი ქოხი გაიჩინონ ქალაქში. ეს იცის მიწის სიცოტავემ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

4 ოქტომბერს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. თავმჯდომარეობდა გუბერნიის წინამძღოლის მოადგილე თავ. დ. ო. ნიჟარაძე. კრების გასარჩევი საგნები იყო: 1) ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოხსენება სათავად-აზნაურო სასწავლებლის პროგიმნაზიულ კლასების შესახებ; მისივე მოხსენება შესახებ იმისა, რომ სათავად-აზნაურო პროგიმნაზიას დაერქვას მის იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსის სახელი; 3)—რომ დაარსებულ იქმნას ამ პროგიმნაზიაში ოთხი სტიპენდია მის იმპერატორებით უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობისა და 4) საკითხი შესახებ იმისა, თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები 20,000 მანეთი.

კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარემ აუწყა საზოგადოებას მემკვიდრე-ცესარევიჩის დაბადება, რომელსაც თავად-აზნაურობა ფეხზე წამოდგომით, ტაშის ცემითა და „ურა“-ს ძახილით მიეგება. შემდეგ ამ ამბის გამო გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი.

შემდეგ თავმჯდომარემ გააცნო კრებას სათავად-აზნაურო სასწავლებლის მთელი ისტორია, რომლის შესახებაც არა ერთხელ და ორჯელ დაწერილა ჩვენს გაზეთებში. კრებამ დაადგინა: გაგზავნილ იქმნას სამინისტროს წინაშე საშუამდგომლოდ სათავად-აზნაურო სასწავლებელში მეხუთე კლასის გახსნის შესახებ თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი. იმ შემთხვევაში კი, თუ რაიმე მიზეზის გამო მისმა შუამდგომლობამ ვერ გასჭრას, გაიგზავნოს დეპუტაცია პირდაპირ მის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე საშუამდგომლოდ. დეპუტაციაში გუბერნიის წინამძღოლთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ თავ. ი. ნაკაშიძე და თავ. ა. გ. გელოვანი. ამასთანავე ერთხმად დადგენილ იქმნა აღიძრას შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე შესახებ იმისა, რომ სათავად-აზნაურო პროგიმნაზიას დაერქვას მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსის სახელი და დაარსდეს ამ სასწავლებელში მისი უმაღლესობის სახელის ოთხი სტიპენდია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ შვილთათვის; სტიპენდიის მიღების დროს უპირატეობა მიეცემათ შორეულ აღმოსავლეთში დახოცილ და დაჭრილ მეომართა შვილებს.

ამას მოჰყვა დაუსრულებელი კამათი უმაღლესად ბოძებულ ყოველწლიურ 20,000 მანეთის შესახებ. ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ბოლოს ისევ ის ამჯობინეს, რომ ეს საკითხი 5 ოქტომბრის სხდომისთვის გადაედოთ.

დონ-ვალიანი.

პრესსა

სიღარიბისა და სიმდიდრის სტატისტიკა, ერთად შეგროვებული ცნობები ცხოვრების ამ უკიდურეს მოვლენათა შესახებ, სასარგებლო სამსახურს უწევს საზოგადოებას; მეტადრე შეძლებულ ხალხს ნათლად აჩვენებს რაზეა დამყარებული ადამიანის სიმდიდრე-შეძლებულობა. რამდენი ხალხი უნდა წაწყდეს ამ ცხოვრებაში—ამ ცხოვრებაშივე თითო-ოროლას საცხოვრებლად. მაგალითად, ბელგიის უმთავრეს ქალაქის ბრიუსელის სტატისტიკა საოცარ სურათს შლის ჩვენ თვალწინ.

ბრიუსელის მდიდარ უბანში გადამდებ სენის გავრცელების დროს 1000 კაცზე 13 კაცი კვდება ყოველ წლივ, ღარიბთა უბანში-კი—200 კაცი. ლეიპციგის სტატისტიკამ დაანახვა ხალხს შემდეგი თვალსაჩინო მოვლენა: რაც უფრო მეტი ხალხი ცხოვრობს თითო ოთახში, მით უფრო მეტი მსხვერპლი ხვდება სიკვდილს. ეს პროგრესსი თვალსაჩინოდ მატულობს.

მოსკოვში ღარიბთა უბნების შესწავლამ ცხად ჰყო, რომ ამ უბნის სახლებში შეჯგუფული მუშა ხალხი ერთი ხამად ნაკლების ჰაერით სარგებლობს, ვიდრე ადამიანის ჯანმრთელობისთვის არის საჭირო. ამ მხრივ მუშა ხალხი მოსკოვში ისევ ძველ პირობებში იმყოფება და სიკვდილი უწყალოდ სცელავს ამ უბნის მკვიდრთ. ეს უბანი სნეულების ნამდვილი ბუდეა.

გერმანიაში მედგრად იცავს მშიერ-მწყურვალე ხალხს სახელ განთქმული სატირიული ჟურნალი „სიმპლიცის სიმუს“-ი. ამას წინად იმ ჟურნალში ერთი გულსაკლავი სურათი იყო დაბეჭდილი: ორი მშიერი მაწანწალა სანაგვეს კალათს სჩხრეკს გადაგდებულ ძვლების საშოვრად და შიმშილის მოსაკლავად. უფროსი მაწანწალა ეუბნება თავის ამხანაგს: ღმერთმა ყოველივე სიკეთე მიანიჭოს ჩვენ ადმინისტრაციას: იმისი განკარგულებით ძაღლებს მავთულის ნიღაბი ჩამოაფარეს პირზე და ეხლა ძვლებს ვერ გამოგვტაცებენ ხელიდანაო.

ამ სურათს განმარტება არ სჭირია.

⁂

„ნოვოსტ“-ი სამართლიანად აღნიშნავს დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას. დღეს არ არსებობს პრესსისათვის ძირითადი მუდმივი კანონები. იგი მრავალ ცირკულიარების, განკარგულებების ბადეში გაბმული. გაზეთის მიერ აღნიშნული პრესსის საზოგადო მდგომარეობა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ადამიანის ჭკუა-გონების მოქმედების შეზღუდვა ძნელი საქმეა. ადამიანის აზრს ბუნებით მოსდგამს თავისუფლება, რომლის მხოლოდ დაბრკოლებაა შესაძლებელი და არა საბოლოოდ მოსპობა. სხვა-და-სხვა ცირკულიარების დიდი რიცხვი იმას მოწმობს, რომ პრესსის სისტემატიური აღიგვა, ძირითადი კანონებისათვის დამორჩილება, შეუძლებელია, რადგან ადამიანის აზრს თავისი საკუთარი კანონები აქვს.

⁂

„მოსკოვ. ვედ.“-მა ისევ გამოჰყო მეთაურ წერილში თავისი ტლანქი ხელი და წარღვნას ემუქრება ქვეყანას. ნუ გაქვთ იმედი, რომ მთავრობა შეცვლის საგლეხო კანონმდებლობის განხილვის წეს-რიგსაო. ჩვენ ნამდვილად ვიცით, სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, რომ ეს თავის დღეში არ მოხდება, ამ მხრივ „ლიბერალთა“ იმედები უსაფუძვლოა. საგლეხო კანონმდებლობას უმაღლეს მანიფესტში ნაჩვენებ გზით განიხილავენ. გადაწყვეტილია ენერგიულად განაგრძონ საგლეხო კანონმდებლობის განხილვაო.

სასამართლო

I

ტფილისის სამოსამართლო პალატამ 6 ოქტომბერს გაარჩია, სხვათა შორის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ორმეთის მცხოვრების ვასილ კუპრაძის საქმე. როგორც ოქმიდანა სჩანს, 1903 წლის 18 ივნისს ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი სოფელ ომაპაჩეთის გზაზე დაჰხვედრიან ამავე სოფლის მცხოვრებს გრიგოლ კილორიას და მოუკლავთ. როცა ყვირილსა და ხმაურობაზე ხალხი მისულა, მოკლულის გარდა უნახავთ კილორიას მეზობელი კუპრაძე, რომელსაც უთქვამს, თავს დაგვეცნენ ვიღაც ბოროტ-განმზრახველნიო. გამოკითხვის დროს კუპრაძეს ბოქაულთან განუცხადებია ესევე და დაუმატებია, რომ ისლამ კვარაცხელიას, მირიან ხომერიკს, იასე დომარჯგინაძეს და კ. მოქიას მტრობა ჰქონდათ კილორიასთან, რადგან თავ. დავით გურიელის მოკვლის საქმეში მას აღნიშნულ პირთა შესახებ ცუდი ჩვენება მიეცა სასამართლოში. ხომერიკმა, კვარაცხელიამ და სხვათ ძალა დამატანეს, კილორია გამეტყუებინა სადმე. მკვლელობის დღეს ჩემთან მოვიდა კვარაცხელია და მითხრა, კილორია სუფსაშია, წადი იმისთან და იგი ნადარეიშვილის სასიმინდესთან მოიყვანა, მერე ჩვენ ვიცითო. მართლაც დაგვხვდნენ, მე მცემეს და დამაშინეს, მოგკლავთ, თუ გაგვთქვიო, ხოლო კილორია მოჰკლესო. კუპრაძეს გამომძიებელთან და ოლქის სასამართლოში შეუცვლია ჩვენება და უთქვამს, რაც ბოქაულს ხაზურზანის ვუთხარი, სიმართლეს მოკლებულია. თუ ვარჩვენე ასე, იმიტომ, რომ ბოქაულმა მათრახით მცემა და მაიძულა ასე მელაპარკნა. ნამდვილად-კი მე ვიყავი კილორიასთან ერთად სუფსაში. შინ დაბრუნების დროს თავს დაგვეცნენ კონსტ. მოქია და ლუკა გუჯაბიძე და მოჰკლეს კილორია, ხოლო მე თოფის ყუით მცემეს და გამაფრთხილეს, შენც ესევე მოგელის, თუ გაგვთქვიო. პასუხის გებაში ისლამ კვარაცხელიაც მიუციათ. კვარაცხელიას ბოქაულთან უთქვამს, მე მონაწილეობა მივიღე მაგ მკვლელობაში, ხოლო კუპრაძეც ჩემი ამხანაგი იყოვო. კვარაცხელიას გამომძიებელთან და სასამართლოში განუცხადებია, ამ საქმეში უდანაშაულო ვარ, ხოლო ბოქაულს ტყუილები ვუთხარი, რადგან დაუზოგველად მათრახით მცემდაო. ქუთაისის ოლქის სასამართლოს კვარაცხელია გაუმართლებია, ხოლო ვასილ კუპრაძისათვის გადაუწყვეტია განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 10 წლით გაგზავნა. პალატაში კუპრაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი გელაზაროვი, რომელმაც აღნიშნა საქციელი ბოქაულისა, ძალა უხმარია და ასე უთქმევინებია ტყუილები ბრალდებულთათვისაო. პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და კუპრაძე გაამართლა.

II

2 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ნიკოლოოზ ხახიშვილისა, რომელსაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ხახიშვილი დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიესაჯა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში 12 წლით გაგზავნა.

III

ხვალ, 8 ოქტომბერს, ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს საქმეს ტფილისის „კრუჟოკის“ მამასახლისებისას, რომელნიც ქალაქის გამგეობამ პასუხის გებაში მისცა სასანიტარო წესების დარღვევისათვის.

თეატრი

ქუთაისი. 3 ოქტომბერს გ. მესხიშვილის გამგეობით ქუთათურმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები“. სასიხარულოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნს მესხიშვილს ხმა შესამჩნევად მოუმატებია. ფრანც მოორის როლი მესხიშვილმა ჩვეულებრივ კარგად ჩაატარა. კარგი შვეიცერი იყო ბ-ნი ბაქრაძე თავის რიხიანის, მაგარის ხმით, მოხდენილის თვალ-ტანადობითა და გაბედულის მიხვრა-მოხვრით. ლამაზად შეასრულა ამალიას როლი ქ-ნმა მდივნის ასულმა. მოხდენილი პასტერი იყო ბ-ნი ზარდალიშვილი. ბ-ნი გ. გამყრელიძე, რომელიც მოხუცის როლს საზოგადოთ კარგად ასრულებს, გვგონია, უფრო გრძნობიერად ითამაშებდა მაქსიმილიანე ფონ-მოორის როლს. ბ-ნ თუთბერიძის თამაშს კი კარლოსის როლში გრძნობასთან ერთად სცენაზე ბუნებრივი მიხვრა-მოხვრაც აკლდა, თუმცა როლი-კი ზეპირად იცოდა.

საზოგადოება იმდენი კიდევ არ დაესწრო წარმოდგენას, რამდენიც მოსალოდნელი იყო. თეატრში წარმოდგენის დროს რუსის საზოგადოებასაც დაინახავდით.

კვირას, 10 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება ახალი პიესა „ახალი მოძღვრება“.

დონ-ვალიანი

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 ოქტომბერი

ფაკელბერგი, 5 ოქტომბერი. რუსის ესკადრის 3 ჯავშნიანმა, ერთმა ნაღმიანმა და ერთმა სატრანსპორტო გემებმა დასტოვეს ნავთსადგური და ჩრდილოეთისკენ წავიდნენ.

მოსკოვი. კრემლის საწყობში მოსამსახურენი თავისის ხარჯით ჰმართავენ 11 ლოგინს დაჭრილთათვის. საეპარქიო კომიტეტმა შესწირა კრემლის საწყობს 5 ათასი მანეთი.

მუკდენი, 4 ოქტომბერი („რეიტერი“). ბოლო დღეებში იაპონელებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს რუსების შუალა ჯარზე და მარჯვენა ფრთაზე. ცხადია, იაპონელები ჰშიშობენ, რომ წინ წამოსული რუსის ჯარი თანდათან გააძლიერებს თავის სარეზერვო ჯარს. დღეს რუსებს უჭირავთ ადგილები და პოზიციები ველზე, მდინარე შახეს გაყოლებით, რკინის გზიდან ტაშანამდის, საიდანაც მთები იწყება. რამდენად გამწვავებული ბრძოლა მოხდება ამ მხარეს იმაზეა დამოკიდებული, რა ადგილას დადგება იაპონიის აღმოსავლეთის არმია; ამ არმიის შესახებ მცირე ცნობები მოდის.

ლონდონი, 5 ოქტომბერი („რეიტერი“). იაპონიის მისსიამ გამოაქვეყნა ტოკიოდან 5 ოქტომბერს მიღებული დეპეშა იმის შესახებ, რომ რაზმს, რომელიც იმადას უფროსობით გამოწვეული იყო რუსებზე იერიშით მისულ იაპონელთა მარცხენა არმიის ერთი რაზმის გასაძლიერებლად, უეცრად გარს შემოერტყა რუსის ჯარი. მედგარ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა გაარღვიეს რუსების წრე და თავის პოზიციაზე დაბრუნდნენ. იაპონელთა არტილერიამ დაჰკარგა კაცებისა და ცხენების უდიდესი რიცხვი და იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსებისთვის 6 ველისა და 5 სამთო ზარბაზანი.—რუსებს მაშველი ჯარი მოუვიდათ. 3 ოქტომბერს იაპონელებმა 1000 კაცი დაჰკარგეს, რუსის მთავარ სადგომთან მყოფი „რეიტერი“-ს კორესპონდენტი იუწყება 5 ოქტომბერს, რომ 4 ოქტომბერს მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა იყო შუალა ჯარში. იაპონელები სცდილობენ რუსები მუკდენს იქით განდევნონ. ქალაქის ახლოს თითქმის აუცილებლად უნდა მოხდეს ბრძოლა. გენერალი კუროპატკინი ჯარებთან არის, ცხრა დღის განუწყვეტელ ბრძოლაში რუსები ყოველ დღე ჰკარგავდნენ არა ნაკლებ ორი ათასი კაცისა. საავადმყოფოებში ძლივს ეტევიან დაჭრილები, ამის მიუხედავად საავადმყოფოები კარგად მუშაობენ. ჩინელებმა დასტოვეს ახლო-მახლო სოფლები. რუსები ანგრევენ სახლებს და შეშის მაგიერ ხმარობენ. მუკდენის სამხრეთით ადგილები სამწუხარო სურათს წარმოადგენს. ეს ქვეყანა ვერ გამოკვებავს დიდ არმიას, რადგან მოსავალი განადგურებულია.

5 ოქტომბერს საღამოს რუსები იცავენ დილისით წართმეულ ადგილს შახეს ახლოს. იაპონელებს რამდენიმე ტყვიის-მტყორცნელი წაართვეს.

ტოკიო, 5 ოქტომბერი („რეიტერი“). გამოქვეყნებულია მოხსენება, რომ რუსეთის ქვეითა ჯარის რაზმმა 3 ოქტომბერს დილისით იერიში მიიტანა იაპონელთა მარჯვენა არმიის ერთ ნაწილზე, რომელსაც შანპიატიძე

დნიერებით, შეიმარებით, ტკბილ მღელვარებით; სწავლის სურვილით მე მოგიტევ შენსა გონებას, გარე აღგიზნებ აღტაცებას, ცეცხლებრივ გრძნობას, მე აღვისრულებ ყოველს სურვილს, ყოველს ნებასა, გემსახურები და ვიკადრებ შენს მონებასა. მომეცი ხელი და წავიდეთ, ვინემ გვაქვს ხანი, ამა სოფელში მოგველის ჩვენ დიდი საგანი“! მაგრამ განვიდნენ წელნი და პოეტს „ჭმუნვის გრიგალით გონება სულ გაუფრინდა“: რაც ჰქონდა სიხარული, კეთილ ზმანება, დაჭკნა ყოველი და წარეოთ სურვილი, ნება. ხელ-ახლა გამოეცხადება ახალგაზრდობის ხატება, რომელსაც ევედრებით შესძახებს: სად არის შენგან დაპირებული სიყვარული, ბედნიერებაო? მპირდებოდი კეტად გამხ[illegible] და მიღალატე, შენგან მხოლოდ უბედურ[illegible]!—რაზედაც მოჩვენება უპასუხებს: ბრალია, რაც მოგვივიდა, რადგან მე არ [illegible]დი, ცას ებრძოდი და ქვეყანას მოიძუ[illegible] დამლალე, დამქანცეო.[1]

ლექსში გამოხატავს პოეტი თავის ლექსების [illegible] ხასიათს—სევდას და უიმედობას. ცხოვრების სიმწარე ადრევე იგრძნო პოეტმა, როდესაც ჯერ სულ უმაწვილო 13 თვე ციხეში იჯდა მერე უცხოეთში იქნა გარდახვეწილი. ციხი[illegible] მეორე ლექსს სწერს თავის მეგობარს [illegible]: „მე აწ სოფელი მოგვასთ მამო[illegible] ამიხშავს კლიტით მამულის კარებს, ვეღარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით, მისთვის მობრალე გულით დამხიბლით. მივალ, გარნადა სული აქ მრჩების, მუნ სევდის ქოხი ობლად დამშთების“. პოეტს სტანჯავს იმის ფიქრი, ვაი თუ უცხო უცხოთ უცხოთა დამფლან მე სამარესა![2] უცხოეთში გაიცნო იქაური საზოგადოება, იქ გაუჩნდენ მას ახალი მეგობრები, მაზედ იყვნენ ქალნი „დამხიბლნი“, ხოლო მას ვერ გააქარვებია ის ჭმუნვარება, რომელიც მის გულში ღრმად იყო დამარხული ყველასი მადლობელი იყო თანაგრძნობისა და ნდობისათვის, „მაგრამ (ამბობდა) არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი და სიხარულად მამახნი ვიტირო მისთვის! სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩვილი, სად სიჭაბუკის განვიტარე დღენი ნეტარნი, სადა მსურდა მომეწყვიტა ტრფობის ყვავილი, გლახ მის მხარისთვის მეფრქვიან ცრემლნი მდუღარნი!“[3] პოეტი ხშირად იგონებს თავის სამშობლოს, გონებით აქ ცხოვრობს, ეალერსება მტკვარს: „მტკვარო, მდინარევ ჩემის მამულის! სად ხარ, რომელსა ხშირად შეგსვამდი? შენსა მორევში ოდეს ვსცურავდი, განმგრილებელი ჭაბუკის გულის!“[4] ლიტვოდან სამშობლოს უძღვნის ყაბახს: „ჰოი, მთიდანო, მიყვარდა მე ჟამს გაზაფხულის მამოსვლა შენზედ, დავსტკბებოდი წმინდის ჰაერით... ოდეს რაზედმე, ან რისთვისმე რა გჭმუნვარებდი, შენზე სეირნით მეის კაეშანს განვიქარვებდი! შენსა პირზედა გკითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ, შენზე სწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ, შენ შთამბერვიდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას და ჩანგზე მღერით დავიწყებდი მამულის მჯობას.“[5] ბოლოს, როგორც იქნა, გ. ერისთავს განეღო დახშული კარი მამულისა და იგი დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ თავი ვერ გაითავისუფლა მაინც სევდისა და ჭმუნვარებისაგან. სამი წლის წინ გარდაცვალებამდის პოეტი იმეორებს ლერმონტოვის სიტყვებს: „სევდამ მომიცვა, სული ჭმუნვარებს, ვის მივცე ხელი, რომ მცეს ნუგეში?“[6] რა იყო ამ ჭმუნვარების მიზეზი? ეს უკვე მოვიხსენიეთ ზევით, ეს იყო თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება. ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების გამო ჩვენი პოეტი სწერს: ჰოი, ჭაბუკო, ზეციდან „გვხედავ, ჭმუნვითა ქვე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას, ხედავ რა შენ ამათ და მათ შორის შურსა და მტრობას.“[7] ასეთის ჭმუნვით შესცქეროდა თვითონ გ. ერისთავიც თანამედროვე საზოგადოებას და ცხოვრებას. მას მცირე ჰქონდა ბედნიერი დრო, როს „ბედი იყო მისად მღიმარი, როს გული მისი არ სცნობდა ჭმუნვათ, არც გვნებათა და არცა ზრუნვათ“.[8]

(შემდეგი იქნება)

კ[illegible]ამი.

---

[1] ლექსი: თანამეგზავრი.

[2] თ. სვიმონ მაჩაბელს.

[3] უცხო ქვეყნის კაცს.

[4] მტკვრისადმი.

[5] ყაბახისადმი.

[6] И скучно, и грустно!

[7] ნ. ბარათ. გარდაცვალებაზე.

[8] როზალია შიშპინგის ქალს.

ეჭირა, მაგრამ უკუგდებულ იქნა. რუსებს ვაიტუოშანის ახლოს წინანდელი პოზიციები უჭირავთ. იაპონელთა მარჯვენა არმიაში და შუა არმიის ფრონტის წინ ცვლილება არავითარი არ მომხდარა. რუსებს იაპონელთა მარცხენა არმიის პირდაპირ გუშინდელი პოზიციები უჭირავთ. რუსებმა მეტად გააძლიერეს თავისი ჯარი ხუნხეს და იაპონელთა შუალა არმიის პირდაპირ; ცხადია, რუსებმა საზოგადოდ გააძლიერეს თავისი ჯარები და იაპონელთა მარცხენა არმიის მარცხენა ფრთის პირდაპირ რუსის შეერთებული ბრიგადა დგას.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
5 ოქტომბერი

პეკინი, 6 ოქტომბერი. შანჰაიში ჩინეთის პრესის ერთ ნაწილს ცხადად ეცვლება იაპონიის მიმართ მეგობრული განწყობილება უნდობლად ეკიდება იაპონელთა დაპირებას, ომის დასრულების შემდეგ მანჯურიას ჩინეთს დაუბრუნებთო და ფიქრობს, რომ მანჯურიას კორეის ბედი ეწევა.

ტოკიო: 6 ოქტომბერი („ცენტრალ ნიუს“). იაპონიის გაზეთების კორესპონდენტი იუწყება: „რუსებს უჭირავთ მდინარე შახეს მარჯვენა ნაპირი: განუწყვეტლივ მაშველი ჯარი მოსდით. იაპონიისა და რუსის არმიები პირისპირ დგანან მდინარის გაღმა-გამოღმა. რუსის ყუმბარები პორტ-არტურში დიდად აზარალებენ იაპონელებს.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს: „6 აგვისტოს ღამემ წყნარად ჩაიარა. იაპონელები ლინშინპუს ჯარს აძლიერებენ. იმავე ღამეს ჩვენ მოწინავე პოზიციიდან გამოვიდა ადგილების დასაზვერად მსროლელთა ერთი რაზმი, შტაბს-კაპიტანის დემბოვსკის უფროსობით, მამაცად შეასრულა საქმე, უბრძოლველად ჩაიგდო ხელში და მოიტანა ჩვენ პოზიციებზე იაპონელთა ორი ტყვიის-მტყორცნელი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ადიუტანტის კუროპატკინისა: „5 ოქტომბერს ღამე იაპონელებმა იერიში მიიტანეს იმ რაზმზე, რომელსაც პუტილოვის ხეაინი სოპკა ეჭირა, მაგრამ მოგერებულ იქნენ. დილის 10 საათამდე სხვა მოხსენება ბრძოლის შესახებ არ მოსულა. ყველა პოზიციებზე სიწყნარეა. მთელ ღამეს წვიმა მოდიოდა. გზები ძლიან წახდა“.

ლონდონი. 6 ოქტომბერი. „დეილი ნიუს“-ში მეთაური წერილია დაბეჭდილი. რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ გაზეთი ამბობს: როგორც სამხრეთ-აფრიკის ომის დროს ინგლისელების ყურადღებას ლედისმიტი იქცევდა, ისე ეხლა მთელი ყურადღება რუსეთისა პორტ-არტურზეა მიქცეული. ყოველი საშუალებაა ნახმარი ციხის გმირ მეციხოვნეთა გადასარჩენად. ამისთვის კუროპატკინი ჯარს განსაცდელში აგდებს, მზად არის შესწიროს თავისი რეპუტაცია; ამისთვისავე ბალტიის ესკადრა გაუდგა შორ და განსაცდელ გზას დედამიწის გარშემო. პორტ-არტური უმთავრესი ძირღვია ომისა. თუ იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, მანჯურიას არავითარი ფასი აღარ ექნება რუსებისთვის. თუ პორტ-არტური გამაგრდა იმ დრომდე, ვიდრე დახმარებას გაუწევენ, ეს იაპონიის დამარცხების ნიშანი იქნებაო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
6 ოქტომბერი

სევასტოპოლი. ქალაქის ჩრდილოეთ მხარის ჯარი შეგროვდა ძმურ სასაფლაოზე, სევასტოპოლის დამცველთა საუკუნო განსასვენებელ ადგილას, და ილოცა, რათა ღმერთმა მტრებზე საუკუნო გამარჯვება მიანიჭოს რუსის ჯარს.

სტამბოლი, („ვოლფი“). მსოფლიო პატრიარქატის სინოდმა საჩივრით მიმართა რუსეთის ელჩს, რომელშიაც აბრალებს სალონიკის ვილაიეტში მყოფ რუსის ოფიცრებს, სისტემატიურად სდევნიან ბერძნებსა და ცხად მფარველობას უწევენ ბოლგარელთა პროპაგანდას და აგრეთვე მეამბოხეთა რაზმებს, რომლებიც ბოლგარელებს ეხმარებიან.

ბერლინი. გახსნეს ნაციონალური ძეგლი იმპერატორის ფრიდრიხისა და აკურთხეს იმპერატორის ფრიდრიხის მუზეუმი.

პეტერბურგი 5 ოქტომბერი. სატახტო ქალაქმა პირველად იდღესასწაულა მემკვიდრე ცესარევიჩის სახელწოდების დღე. ყველა ეკლესიაში წირვა გადაიხადეს. განსაკუთრებით დიდის ამბით გადაიხადეს წირვა ყაზანის სობორში, რომელიც სავსე იყო ხალხით. წირვას დაესწრნენ დიდი მთავრები: კირილე და ანდრია ვლადიმირის ძენი, ალექსი ალექსანდრეს ძე და სერგი მიხეილის ძე.

ლონდონი, 5 ოქტომბერი („რეიტერი“). ტიბეტმა გამოაცხადა, არ შეგვიძლიან ინგლის-ტიბეტის ხელშეკრულობით დადგენილი კონტრიბუცია—ამდენი და ამდენი ლაკ-რუპიები (ლაკ-რუპია ასი ათასი მანეთია) სამი წლის განმავლობაში გადავიხადოთ, როგორც ხელ შეკრულობაშია აღნიშნული. მოსალოდნელია, რომ ყოველ წლივ თითო ლაკ რუპის გადაიხდიან; ამიტომ ინგლისი განზრახულ სამის წლის მაგიერ 75 წელიწადს არ დასტოვებს ჩუმბის ხეობას. ჩინეთის ამბანს მიზეზად მოჰყავს, იმიტომ არ მოვაწერე ხელი ხელშეკრულობას, რომ იქ საკმაოდ არ არის გამორკვეული ჩინეთის უმაღლესი უფლებაო. ფიქრობენ, ამბანს პეკინიდან მიღებულმა ინსტრუქციამ შეუცვალა აზრებიო: ეს ინსტრუქცია კი მტრულად განწყობილმა უცხოელებმა გააგზავნინეს ჩინეთის მთავრობასაო. ჩინეთის რწმუნებულმა უარჰყო ყველა წინადადება და ხელი არ მოაწერა ხელშეკრულობას. ის გარემოება, რომ ჩინეთმა არ იცნო ინგლის-ტიბეტის ხელშეკრულობა, ტიბეტში მღელვარებას გამოიწვევს და გააადვილებს დორჟიევისა და დალაი-ლამას დაბრუნებას.

სევასტოპოლი, 5 ოქტომბერი მეათე ბატარეაზე, რომელმაც განსაკუთრებით ისახელა თავი სევასტოპოლის დაცვის დროს, მთელმა სევასტოპოლის არტილერიამ დღესასწაული გადაიხადა.

შანჰაი, 5 ოქტომბერი („რეიტერი“). მდინარე სიკიანგზე, კანტონის ახლოს, ინგლისის ორ გემს ზღვის ყაჩაღები დაესხნენ. ინგლისის საკანონიერო გემი იმ ადგილისკენ გაემართა.

ბელგრადი. 5 ოქტომბერი. მეფე 17 ოქტომბერს გაემგზავრება სოფიას. პაშიჩი გაჰყვება მეფეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 8 ოქტომბერი.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,87½
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89¼ „
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	410
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	313 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	265 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	237 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევს 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევს 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევს 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევს 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანიდან: № 45/44 ნაშუადღევს 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—61)

ახალი გახსნილი
სასტუმრო არკადია ნომრებით
(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—59)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა პართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—6)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის

გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ 9 ნოემბრისათვის 1904 წელს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, დანიშნულია კონკურენცია ქვემოდ ჩამოთვლილ ხე-ტყის მასალის მისაწოდებლად რკინის გზისთვის. მსურველთ უნდა შეიტანონ განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით და ამ გვარის წარწერით: „Въ Совѣтъ Управленія Закавказскихъ желѣзныхъ дорогъ. Заявленіе цѣнъ на поставку (такихъ-то) матеріяловъ на конкуренцію, такого мѣсяца и числа 1904 года.“ მასალა:

სხვა-და-სხვა ხის შპალები:		
განიერ ლიანდაგისთვის . . .	442,000	ცალამდე.
ვიწრო „	60,000	„
სხვა-და-სხვა სიგრძის ძელები	293	კომპლექტი
სხვა-და-სხვა ხის შეშა	8,000	კუბ. საჟ.
სატელეგრაფო ბოძები.	44	ცალი.
მორები მუხისა სხვა-და-სხვა ზომ.	76,000	კუბ. ფუტი
„ ნაძვისა, ფიჭვისა და სოჭისა. წვრილი და რგვალი	4,000	ცალი
„ ნაძვისა, ფიჭვისა, სოჭისა, თხმელასი და სხვისა	65,000	კუბ. ფუტი.
ძელები სხვა-და-სხვა ხისა .	130,000	„ „
ფოშტა ნაძვისა, ფიჭვისა და სხ.	40,000	სიგრ. საჟ.
ფიცრები და რეიკები სხ.-და-სხ.	88,500	ოთხკ. ფუტი

კონდიციებისა, წესებისა და ტეხნიკურ პირობების შესახებ დაწვრილებით ცნობების გასაგებად მსურველმა უნდა მიჰმართოს ფოსტით ან პირადად ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 12-დან 2 საათამდე, „მატერიალნი სლუჟბას“, რომელიც რკინის გზის იმავე სახლშია მოთავსებული. (3—6.—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიძისას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, პიზიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითოეული	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	6
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	2
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	5
სიბრძნე ბალავარისა	—	3
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	1
დვინის დაცემა, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	5
რძე, მისივე	1	5
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	8
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	1	—

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევმა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაგიერად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად დააგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობას ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—50)

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ქალოშებისა



და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის [illegible]
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს **1860** წელს

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს სთხოვენ
ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს,
განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლისთვის
„1860“ და სიტყვას
„С.-Петербу
წითელ სამკუთხში
ბრიკის ნიშნით.
ნარდით ვაჭრობას
აწარმოებს საგაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ოდესას,
ტაშკენტს. და ტფილისს

(60—53)